

# ცნობის ფურცელი



სამართლის რევოლუციის მუზეუმი  
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.

## სურათებიანი დამატება

ნაშთების № 882.

ხუთშაბათი, 21 ივლისი 1905 წ.

ბაზისი № 2867.

### კლოდ გე

ვიქტორ ჰიუგოსი

ამ რამდენიმე წლის წინად პარიზში სცხოვრობდა ერთი ღარიბი მუშა-კაცი, სახელად კლოდ გე. კლოდ გესთან სცხოვრობდნენ ყმაწვილი ქალი (მისი საყვარელი) და იმასთან შექმნილი ბავშვი.

მე ყველა ნივთს თავის სახელს ეწეროდებ და მკითხველისთვის მიმინდვია, თვითონ გამოიყვანოს ზნეობრივი მხარე დაქტების მიმდინარეობის მიხედვით.

ეს მუშა ნიჭიერი, ხერხიანი და ქვიანი კაცი იყო. სწავლის მხრით დაჩაგრულმა, მაგრამ ბუნებით დაჯილდოებულმა, იმან, მართალია, წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ იცოდა მოფიქრება, მოსაზრება, ჰქონდა შორს გამჭვრეტელობა.

ერთ ზამთარს უსაქმოდ დარჩა. ღარიბ ქაოს მოაკლდა სითბო და ლუკმა პური. მუშა, ქალი და ბაღლი სიცივე-სიშლით იხილებოდნენ.

მუშამ მოიპარა. ის კი არ ვიცი, სად რა მოიპარა, მაგრამ ვიცი, რომ ამ ქურდობით ქალსა და ბავშვს სამის დღის სასაყვირ ლუკმა პური და სითბო მოუტოვა, ხოლო თავის თავს—ხუთის წლის საპყრობილი.

ამ სასჯელის შესასრულებლად კლოდი კლერგოს მთავარ საპყრობილეში გაგზავნეს. კლერგო ერთი ადგილის სახელია. წინად იქ მონასტერი იყო, შემდეგ იგი ბასტილიად (სატუსალო) გახადეს; სენაკი—საქანად აქციეს; სამხსენებლო—სამარცხენო მოძად ვარდაქმნეს... აი როგორც ესმით ჩვენს დროში პრაგრესი! აი რას გულისხმობენ ამ სიტყვით!..

მაგრამ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ.

მივიდა თუ არა გადაწყვეტილ ადგილას, კლოდს დაუნიშნეს: ღამე სადგომად ბაჟაწა ოთახი, დღისით კი—სახელოსნოში მუშაობა.

მაგრამ საქმე სახელოსნო როდია!..

კლოდ გე, გუშინ პატიოსანი მუშაკი, ხოლო დღეიდან ქურდი, — სერიოზულის, ღირსებით სავსე შეხედულობის კაცი იყო. კლოდს ჰქონდა მალაო, უღროვოდ დანაკლებული შუბლი; სქელი, გრუზა შავი თმა, რომელშიაც აქა-იქა თითო თითო ქაღალა უბრწყინავდა; მშვიდი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, ღამაში, შვილდევით მოხრჩილი წარბებით შემოფარგული; თხელი ცხვირის ნესტოები; ცოტათი წინ წამოყვებული ნიკაბი და უცმყოფილების გამოზბატული ტუჩები.

სახოვალად ღამაში, სასიამოვნო სახის ვეკაცი იყო, მაგრამ ენახოთ, რა დღე დააყენა საზოგადოებამ!

კლოდ გე ჩუმი კაცი იყო. იმს მედიდურ შეხედულობას რაღაც ბრძანებლობა ეტყობოდა, რომელიც ყველას უნებლიეთ იმორჩილებდა. იმის მუდამ ჩაფიქრებულ სახეს უფრო სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, ვიდრე მწუხარ, თუმცა კი მრავალი მწუხარება გამოეცალა.

იმ საპყრობილის უფროსი, სადაც კლოდ გე იმყოფებოდა, წარმოადგენდა რაღაც განსხვავებულ, ორგინალურ მოხელის ტიპს, რომელიც ასრულებდა როგორც საპყრობილის უფროსის, ისე ვაქრის დანიშნულებას; რომელიც ერთსა და იმავე დროს შესაყვითადაც მოპარათავდა ხელისას და მუქებით იმავე ტუსადს; რომელიც ხელში სამუშაო იარაღს გაძლევდა და ფეხში ბორკილს გიყრიდა. ის იყო თავის სურვილის კაცი, რომელსაც ყველანი შემაკვილ-დამორჩილებული უნდა ჰყოლოდა; თუმცა კი, ზოგიერთ შემთხვევაში, კარგი საამხანაგო, გულკეთილი, ოხუნჯი და მახვილოვად მჭირდავიც იყო.

ერთი უთმარესი თვისება ამ კაცის ხასიათისა უჯათობა იყო. რაკი ერთხელ თავში გაეჭრიებოდა შეუსაბამო აზრი, რა დაბრკოლებაც უნდა გადაძლიებოდა წინ, უკან აღარ დიხებდა, სანამ იმაყად თავ-აღებული ბოლომდე არ მიიყვანდა ამ უსაქციელობას.

აი როგორი კაცი იყო კლერგოს სატუსალოს უფროსი. აი რისგან შესდგებოდა კვები, რომლითაც საზოგადოება ყოველ დღე აყრვენიებდა ნავერწყლებს ტუსადებს. ამთ ვაკაცეზულ გულზე ამ გვარის კვების ვაკერთი გაჩენილი ნავერწყალი ზოგჯერ აპრიადლება კიდევ.



ხეცსური.—სურათი ს. ბერიძისა.

უკვე მოვიხსენიეთ, რომ კლოდ გე, საპატიპროში მისე-ლისათანავე, ჩაბნეს მუშაობაში. სახელოსნოს უფროსმა ვაიც-





ქართველი სოფელი ქალი. — სურათი ა. პერისისა.

ნო კლოდი, დაატყო მუშაობის უნარი და რიგიანად ეპყრობოდა.

ერთხელ, კარგ ღუნებაზე მყოფმა უფროსმა, მეტად დაღონებული ნახა კლოდი გე (კლოდი გე ზირად იგონებდა იმის, ვინც ცოლად მიიხანდა) და უამბო, ვითომ გასართობად და სანუგეშებლად, რომ შენი საკოლადი დედაკაცი საქვეყნო გამხდარაო. კლოდმა ბავშვიც იკითხა გულცივად, მაგრამ იმის შესახებ ვერა ვაიგორა.

რამდენისამე თვის შემდეგ კლოდი სრულებით შეურიგდა საპატრიარქოს, შეეჩვიო იტყურ ჰერეს და აღარაფერზე აღარ ნაღვლობდა. იგი მიიღო შეიპყრო თვის ხასიათის სიღნიცემ.

ამავე ხნის განმავლობაში კლოდმა არა ჩვეულებრივი გავლენა მოიპოვა თვის ამხანაგებზე: ისინი რაღაც გავუგებარის და გავლენით თანხმობით ემორჩილებოდნენ, მონად უხდებოდნენ და ყველაფერში ჰპაჰებდნენ, რაიცა ჰგვიდა იმის გაღმერთების და თვავანის ცემას. რად ხდებოდა ასე, ვერც კლოდს ვაგვო და ვერც იმის ამხანაგებს. დიდი რამე სასახური და დეაქლი უნდა მიუძღოდეს ადამიანს, რომ ასეთ მორჩილების ქვეშ იყოლოს ის გულდრეკელი ბუნების ხალხი. და ეს უფლებმა იმან სრულიად ჭაღადუტანებლად მოიპოვა, ისეთი ზეგავლენა ჰქონდა იმის სახეს.

ადამიანის თვალს სარკმელია, რომელშიაც ნათლად გამოსჩანს თავში მოგროვილი ფიქრები.

სამიოდ თვის განმავლობაში კლოდი სახელოსნოს სული და გული გახდა, იმისი სულიერად მფლობელი, კანონმდებელი. ტუსადები მის გარშემო ისე ტრიალებდნენ, როგორც საათის ისრები ციფერბლატზე. კლოდი ზოგჯერ ციფერბლატს თავის თავს მართლაც ტუსადად, თუ მგუფად ვარ აქაო. ის თითქო რომის პაპი იყო თვის კარდინალბთან ერთად დატუსადებული.

ტუსადთა საყვარელი კლოდი იმვე დროს რაღაც სახიზნარ ჩანგს წარმოადგენდა საპყრობილის უფროსის თვალში. ეს ყოველთვის ასეა: მონათა საყვარულს სარჩულად ყოველთვის ბატონთა სიძულველი უქვს.

კლოდი გეს თვის ავტობიუსების განსაკუთრებული მოთხოვნილება ჰქონდა: მის უყვარდა ბევრი ქაბა. მის კუქს ისეთი სოყვანილობა ჰქონდა, რომ ორის ჩვეულებრივის მამაციის სამყოფი საქმელი იმას ერთ დღესაც ძლივს ჰყოფნიდა. თავისუფლობის დროს კლოდი გე 4 გირვანქა პურის ფასს მუშაობდა და სპანად კოდტ; ტყევაობაში კლოდი მთელი დღე მუშაობდა და შრომის ფასად მხოლოდ გირვანქანახევარ პურსა და 4 უნცია (9 ლოტი) ხორცს აძლევდნენ. ეს კერძი იმას არა ჰყოფნიდა და ამიტომ კლოდს სისტემატიურად შობდა სატუსადოში. დიახ, შობდა და არას ამბობდა, ასეთი იყო მისი ბუნება...

ერთხელ კლოდი გემ გაათავა თვისი მცირე კერძი და ხელი მიჭყო მუშაობას, რომ ამითი მიანც დაეხშო და მოეკლა შიმშილის გრძნობა. სხვა ტუსადები მიიარულად შეეცქვეოდნენ საუზმეს.

ამ დროს ერთი ფერმიზილი, სუსტი და ჩამომხმარი ჰაბტუი მივიდა იმასთან და გვერდს ამოუდგა, ხელში დანა და თვისი ჯერ ხელუხლებელი კერძი გქირა.

ისეთის სახით იდგა ჰაბტუი კლოდთან, რომ ეტყობოდა, რამე უნდა ვთქვა, მაგრამ ვერ გავებენდა. ყმაწვილის ასეაზა მღვდამარებობამ და ნამეტნავად პურისა და ხორცის დანახვამ, რომელმაც უფრო აუშალა შიმშილის საღერდელი, გააბრაზიანა კლოდი და უკმებად ჰკითხა:

— რა გინდა?

— ერთი სამსახური უნდა გამიწიო — მიუყო ჰაბტუი გამუბედავად.

— რაა?

— დამეხმარო აი, ამის შექმნაში, რომელიც ჩემთვის მეტია და ვერ მოგვევივარ.

კლოდს ამაყ თვალდევრ ცერემლი მოაღდა. იმან გამოათვა და ნაბა, ვაჭყო კერძი ორ თანასწორ ნაწილად, აიღო ერთი ნაწილი და ქაბა დაუწყო.

— მადლობელი ვარ! — უთხრა ჰაბტუი: თუ გინდა, ყოველ დღე ასე ვაიყოთ ხოლმე ჩემი კერძი.

— შენი სახელი?

— ალბენ.

— რისთვისა ხრ დაქვერ?

— ქარდობისათვის.

— მეც — უთხრა კლოდმა

ამ დღიდან ისინი ყოველთვის ასე იყოფდნენ ალბენის უფლებას.

კლოდი გე 36 წლისა იყო, მაგრამ დროთა ვითარების გამო 50 წლისა გავგონებოდა, — იმ ზომამდელი ემოციონა მასზედ ფიქრთა მიღლევაებას; ალბენი 20 წლის იყო; მაგრამ 14 წლის ბიჭსა ჰგვიდა, — იმდენი უმანკობა იხატებოდა ამ ქურდის სახეზე.

ამ ორ კაცს შორის დამყარდა მტკიცე და ვანწყრელი მეგობრობა, რომელიც მამის შევითან შეთვისებას უფრო ჰგვიდა, ვიდრე ორის ძმისას. ალბენი ჯერ თითქმის ბაღლი იყო, კლოდი კი თითქმის მოხუცებული. ისინი მუშაობდნენ ერთ სახელოსნოში, ემინათ ერთ ქერ ქვეშ, დასეგრანობდნენ ერთ ეჭოში, შუაზე იყოფდნენ უკანასკნელ ლუქმას.

თითოეული ამ ორ მეგობართაგანი მთელ ქვეყნიერებას შეადგენდა მეორესათვის და მეტად ბედნიერიც იყვნენ. სახელოსნო უფროსი, რომელიც ევაგერბოდათ ტუსადებს





ხშირად მიმართავდა ხოლმე იმათ საყვარელ კლოდს, რომ იმის გავლენით დამორჩილებინა ისინი. არა ერთხელ, როცა საქმე ამბოხების ან რაიმე უწყესობის მოსაზრება-დამშვიდებლად შესვლია, კლოდის არა ოფიციალური ავტორიტეტს უფროსის ოფიციალურ ავტორიტეტზე მეტი ზედ მოქმედებს ჰქონია. მატილკე, კლოდის ათ სიტყვის ათის ქანდაკების ტოლად გავლენა ჰქონდა ტუსალებზე.

კლოდს უფროსისათვის მრავალჯერ გაუწევია ამ გვარი დავალება, მაგრამ იმას ეს ყოველთვის ზიზღითა და გულძვირობით გადაუხდია.

უფროსმა შური ჩაიღვა ამ ქურდის წინააღმდეგ და ამ შურთანავე მეტოქეობამ მის გულის სიღრმეში ჩანერგა იღუმალის უღმობილო სიძულვილი კლოდისადმი; სიძულვილი უფროსობით მპყრობელისა—ნამდვილად მპყრობელის წინააღმდეგ; სიძულვილი მოუხეშებ ფიზიკურის ძალისა—ნამდვილ სულიერ ძალის წინააღმდეგ. ასეთი სიძულვილი ხომ ერთი უსამძღვლეს სიძულვილითავეა.

კლოდს ალბენი იმდენად ძლიერ უყვარდა, რომ სრულიად ავიწყდებოდა უფროსი.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა საპრობოლის ზედამხედველებს ტუსალები სახელოსნოში მიჰყავდათ, წყევლ-წყვილად დამწკრიბებულნი, ერთმა იმათგანმა დაუთხა კლოდის გვერდით მიმავალ ალბენს და უთხრა, უფროსი გიბრძანებს.

— რა უნდა შენთან?—დაეკითხა კლოდი.  
— რა ვიცი!—მიუგო ალბენმა.

დარაჯმა წაიყვანა ალბენი. გავიდა დღია და ალბენი აღარ დაბრუნებულა სახელოსნოში. სადილობის დრო მოვიდა, მაგრამ ალბენი არა ჩანდა. კლოდს ეგონა, ეზოში საღმეო იქნებოდა და ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერც იქ იპოვნა. შეიკრიბნენ ტუსალები სახელოსნოებში, მაგრამ ალბენი იმათ შორის არ იყო. ასე გავიდა მთელი დღე. საღამოზე ტუსალები შეკრიბნენ საზოგადო განყოფილებაში. ამოარქებდა კლოდი ალბენს თვალ გაფაციცებით: ის აღარსად სჩანდა...

ეტყობოდა, რომ დიდად იტანჯებოდა კლოდი უალბენოდ, რადგან ბოლოს, ასე გაიჩინეთ, ზედამხედველსაც კი მიმართა, რაიცა არასოდეს არ მომხდარა, და ჰკითხა:

— ავად ხო არ არის ალბენი?  
— არა!  
— მაშ რა ამბავია, რომ მთელი დღე ლაპარაკსადა სჩანს?  
— ის ამბავია, რომ სხვა განყოფილებაში გადაიყვანეს.

ძოწმებებს, როგორც ბოლოს აჩვენეს, დაენახათ, რომ ზედამხედველის ამ პასუხზე კლოდს აიანკალებოდა ის ხელი, რომელშიაც ანთებული სანთელი ეკიარა, მაგრამ იმან მიანიც დამშვიდებით ჰკითხა:

— ვინ მოახდინა ეს განკარგულება?  
— ჩვენმა უფროსმა!—მიუგო ზედამხედველმა.  
მეორე დღეც ისევე გავიდა, როგორც პირველი,—უალბენოდ. საღამოზე, მუშაობის გათავების დროს, მოვიდა, ჩვეულებრივსაგანად, უფროსი სახელოსნოს დასათვლიერებლად. კლოდმა, დანიხა თუ არა უფროსი, შორიდანვე მოინახა ტილოს არახინი და შეკრა რუხი კურტკის,—ამ სახატობის მწუხარე ლიერის,—ყველა ღილები: საპრობოლის ში მყოფნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ღილები ასე მოწიფებით შეკრით უფრო შეიძლებოდა მთავრობის გულის მოგება.

კლოდი იღვა თავის სკამთან, ხელში არახინი ეკიარა და უძლიად უფროსის მიახლოებებს. ბოლოს ისიც მივიდა.

— ბატონო უფროსო!—დაელაპარაკა კლოდი.  
უფროსი შეჩერდა და ნახევრად მიბრუნდა იმისკენ.

— ბატონო უფროსო! მართლა სხვაგან გადაიყვანეთ ალბენი?

— ჰო!  
— ბატონო! ალბენი ძალიან საჭირო ვახლავთ ჩემთვის, რადგან მშველის და მამლებინებს აქ ყოფნას. როგორც მოგეტყვინებთ, მე არა მყოფნის აქაური კერძი და ალბენი თავის წილს მაქმედვად ყოველთვის.

— ეს იმისი საქმეა, მე რა შენადლებმა!  
— ბატონო, ნუ თუ არ მოგზიზღება როგორმე, რომ ის ისევე აქ გადმოიყვანათ, სადაც მე ვმუშაობ?

— არ შეიძლება, გადაწყვეტილია.

— ვისგან?  
— ვისგან და ჩემგან!

— ბატონო! ეს ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა და იმისი გადაწყვეტა თქვენზეა დამოკიდებული.

— მე არასოდეს არა გსცვლი ჩემს გარდაწყვეტილებას!  
— ბატონო უფროსო! რა დამიშავებია თქვენთვის?  
— არაფერი!

— მაშ რად მაშორებთ ალბენს?  
— ისე!—მიუგო და განწორდა უფროსი.

კლოდმა თავი ჩაღწია და მეტი აღარაფერი უთხრა. უნდა შეგინოთ, რომ ალბენის განწორებით გამოწვეულმა მწუხარებამ თითქო არავითარი გავლენა არ იქონია კლოდის დაავადებულ მდაზე; არავითარი შესაძნევი ცვლილება არ მომხდარა. არც ერთ თავის ამხანავისთვის არ შეუჩივლია იმის შესახებ. მარტოდ-მარტო დასეირნობდა ეზოში და ითრნდა შიმშილს.

მაგრამ იმისი უფრო დაახლოვებული ნაცნობები კი ატყობდნენ, რომ საშინელების მომასწავებელი რაღაც ხდებოდა იმის თავში, რაიცა დღით-დღე უფრო და უფრო ემ-



ბიუსტი.—ქანდაკება როდენისა.

ჩნებოდა მის სახეს, თუმცა კი უწინდელზე უფრო წინარი და მშვიდი გახდა.

ზოგიერთმა ამხანაგებმა დააპირეს მიეთავაზებინათ თავიანთი კერძი, მაგრამ კლოდი ყველას უარს ეუბნებოდა დმილით.



